ოქმი:**ო63. 6325213001**
თარიღი:**01/08/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N4

31 ივლისი. 2025 წელი.

მიმდინარე წლის 31 ივლისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ლიზა კრავეიშვილის, თავმჯდომარეობით ჩატარდა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ლიზა კრავეიშვილი ,ნათია პაპავა, ტარიელ დვალიშვილი, ლელა ჩორგოლაშვილი, კობა ძიძიგური, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი- ლევან ახობაძე.

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, 2025 წლის 10 თებერვლის N გ-63-632504121 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი - ლიზა კრავეიშვილი/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (6) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა (6 ხმით) დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ლიზა კრავეიშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, 2025 წლის 10 თებერვლის N გ-63-632504121 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვა: ლიზა კრავეიშვილმა.

ლიზა კრავეიშვილი - კერძოდ: გაიზარდოს:

მუხლი 14. ფინანსური დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში - 40 000 ლარით; (გაზრდილია ერთჯერად დახმარებებზე განცხადების რაოდენობა, ასევე გაიზარდა დამწვარ სახლზე შემოსული განცხადებების რაოდენობა)

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა (6 ხმით) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნული საკითხი განხილულ და დამტკიცებულ იქნას ბიუროს სხდომაზე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ლიზა კრავეიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია-შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი